ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი

28 სექტემბერი 2018 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2018 წლის 28 სექტემბრის № 030/06 ხელშეკრულებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს შპს ,,ჯობს.ჯი''-თან.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:
/ნ.ოვსიანიკოვა/

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე:
/ლ.საღინაძე/

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი:
/ი.საღარეიშვილი/

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:
/ა.კუკულავა/

თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი:
/ს.სანაძე/

მოამზადა: შესყიდვების მთავარი სპეციალისტი:
/დ.ფერაძე/

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება 1030 /06

ქ. თბილისი 28 სექტემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ჯობს.გე"(შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ხუბულავას სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შეაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში თსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტისათვის დამლაგებელთა შესარჩევის მიზნით განცხადების ვებ გვერდზე განთავსების (CPV-79600000) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

№	შესყიდვის ობიექტის დსახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სრული ღირებულება
1	განცხადებსი განთავსება ვებ გვერდზე	1 განცხადება	30.00	30.00
სულ ჯამური ღირებულება:				30.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს *30.00* (ოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალი მართის დეპარტამენტის უფროსი ნათელა ლაცაბიძე.

4.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

4.3. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერის, ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურებსი მიწოდებას განახორციელებს მის კუთვნილ ინტერნეტ ვებ გვერდზე (www.jobs.ge).

6.2. მიმწოდებელმა www.jobs.ge ვებ გვერდზე უნდა განათავსოს 28.09.2018 დან 09.10.2018 -ის ჩათვლით.

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულების მე-5 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში;

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების

დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი **მისამართი:** ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1	**შპს „ჯობს.გე“** **საიდენტიფიკაციო კოდი : 205035282** **მისამართი :** საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ატენის ქ. №20, ბინა 31
რეკვიზიტები: სახაზინო სამსახური თსუ-საკუთარი შემოსავლები	**საბანკო რეკვიზიტები:** **სს „თიბისი ბანკი “** **ბანკის კოდი: TBCBGE22** **ანგ. ნომერი #:GE23TC 0600 0001 0746 7123**
ბანკის კოდი: TRESGE22 **სახაზინო კოდი: 32 04 05 01 01** **საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548**	
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:	**დირექტორი:**
/ნ. ოვსიანიკოვა/	/ა.ხუბულავა/